საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“
OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 7 22 03234475

16/11/2022

ბატონ არჩილ მარშანიას
მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის პლატო, მე-4 მკ/რ, კორპ. 10ვ, ბ. 11
ტელეფონის ნომერი: 574881788
პირადი ნომერი: 01002021430
ელ. ფოსტა: foi+request-1157-4effa5ce@askgov.ge

ბატონო არჩილ,

მიმდინარე წლის 14 ნოემბრის № 3197919 განცხადების პასუხად მოგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი ,,112“ წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს, რომელიც იღებს გადაუდებელი საჭიროების შესახებ პირველად შეტყობინებებს და ინფორმაციას რეაგირებისთვის გადასცემს შესაბამის სამსახურს (პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, სახანძრო/სამაშველო სამსახური).

დამატებით გაცნობებთ, რომ შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შემოსული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე. თითოეულ განხორციელებულ ზარზე „112“-ის ოპერატორის (ზარის მიმღების) მიერ პროგრამულად განისაზღვრება პრობლემის ანუ ინციდენტის ტიპი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა.

მოგახსენებთ, რომ „112“- ში, 2020 წლიდან 2022 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოთხოვნით დაფიქსირებული შეტყობინებების რაოდენობაა - **3 516 783**.

როგორც დასაწყისში განგიმარტეთ, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის მიზანი არის გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო პირველადი ინფორმაციის მიღება და შესაბამისი მორეაგირე სამსახურისთვის დაუყოვნებლივ გადაცემა. გამომდინარე აქედან, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, მოგაწოდოთ სტატისტიკური მონაცემები, გულის გაჩერების შემთხვევებთან, მაღალპრიორიტეტული გამოძახებების რაოდენობასთან

და მათზე რეაგირების საშუალო დროსთან დაკავშირებით. ვინაიდან, ეს ეხება შეტყობინების მორეაგირე სამსახურისთვის გადაცემის შემდგომ ეტაპებს, რაც სცდება „112“- ის კომპეტენციის ფარგლებს.

შესაბამისად, თქვენი წერილი შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს.

დანართი: იხ. მიბმული ფაილი 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის
ცენტრი ,,112"
ადმინისტრაციის (სამმართველო)
უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი
რობაქიძე სალომე